# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | ბოლნისის „ყოჩები“ - თბ „არმია“ | | |
| გუნდი | ბოლნისის „ყოჩები“ | შეჯიბრი | ჭაბუკთა „ბ“ ლიგა |
| მატჩის თარიღი | 04/10/2023 | მატჩის ადგილი | თბილისი, რაგბი პლატო |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|---|---|---|---|
| სტატუსი | მოთამაშე | დაბადების თარიღი | |
| სახელი, გვარი | გიორგი ფოლადაშვილი | | |
| ☒მსაჯი<br>☐საითინგ კომისარი | ლუკა ნიშნიანიძე | დარღვევა | ☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია |
| დარღვევა | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია დანართი #4. **9.12** მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს: **სახეში დარტყმა ხელით** | ☒ **წითელი ბარათი** ☐ **საითინგი** ☐ **სხვა**<br>თუ „სხვა“ აღწერეთ : | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 06/10/2023 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სმხარაძე | | |
| დამრღვევის დასწრება | ☐ კი ☒ არა | სხვა დამსწრეები :<br>☐ კი ☐ არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | შოთა ლაზაშვილი ბოლნისის „ყოჩები“-ს (ჭაბუკთა „ბ“ ლიგა) მთავარი მწვრთნელი. სატელეფონო ჩართვა | აღნიშნეთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მსაჯის, ლუკა ნიშნიანიძის, წითელი ბარათის ოქმი;<br>ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა; | | |

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, ლუკა ნიშნიანიძის , წითელი ბარათის ოქმი;
2. მატჩის მსაჯის, ლუკა ნიშნიანიძის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;
4. ბოლნისის „ყოჩები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელის, შოთა ლაზაშვილის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. თბ „არმია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელის, გიორგი ლუაშვილის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება**

ბოლნისის „ყოჩები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელმა, შოთა ლაზაშვილმა, აღიარა მისი მოთამაშის დარღვევა და დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას, წითელი ბარათით გიორგი ფოლადაშვილის, მოედნიდან გაძევების შესახებ.

**ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა**

1. 15/06/2023წ. გაიმართა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი ბოლნისის. „ყოჩები“-სა და თბ „არმია“-ს შორის. მატჩის მსაჯის, ლუკა ნიშნიანიძის , წითელი ბარათის ოქმი(ციტირება) – *„თამაშის 23 წუთზე არმიამ მოიპოვა ბურთი დაცვაში თავიათნ 22-მეტრიანში , მოპოვედისთანავე დაარტყეს ბურთი რომ გასულიყვნენ წითელი ზონიდა ... მე გავყევი ბურთს რა დროსაც იქ დარჩენილ მოთემაშეებს არმიის 2 ნომერს და ყოჩეის პირველ ნომერს მოუვიდად ერთმანეთში პროვოცირება , კამათი . პროვოცირება გადაიზარდა ხელების მოქნევაში , ყოჩების პირველმა ნომერმა დაარტყა 2 ნომერს და შემდგომ კიდევ გააგრძელა აქტიურად ხელების ქნევა . დარტყმის შედეგად წამოდგა 2 ნომერი და იგივეთი უპასუხა . ამ მომენტში ვიხმარე სასტვენი რომ თამაში შემწყდარიყო . ორივე გუნდი გაჩერდა . გავისაუბრე კაპიტნებთან და ჩხუბის მონაწილეებთან . ორივემ ერთმანეთს მოუხადეს ბოდიში და მიიღეს წითელი ბარათები. შემთხვევას არ მოყოლია არანაირი გაგრძელება ან რაიმე სხვა ..“*
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - თამაშის პირველ ნახევარში (23-ე წუთი) „არმია“-ს 22 მეტრიან ზონაში „ყოჩები“-ს სასარგებლოდ დანიშნული შერკინებიდან ბურთის გამოსვლის შემდეგ, „ყოჩები“-ს #1 (გ.ფოლადაშვილი) მაისურით იჭერს მოწინააღმდეგის #7, რომელიც ხელით ხელში ჩარტყმით ითავისუფლებს თავს და ერთვება თამაშში. „ყოჩები“-ს #1 მისდევს არმია“-ს #7 აჩერებს მას და მარჯვენა ხელს(მუშტი) ურტყავს სხეში. დარტყმის შედეგად „არმია“-ს #7 ეცემა მიწაზე. ჩხუბი მყისიერად შეაჩერეს ორივე გუნდის მოთამაშეებმა.

**მსჯელობა**

1. სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის შემდეგ იმსჯელა ინციდენტის შესახებ და დადგენილად სცნო ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშის გიორგი

ფოლადაშვილის მხრიდან თამაშის წესების 9.12 წესის (**მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, დარტყმა ხელით)** დარღვევა.

| გადაწყვეტილება | | | |
|---|---|---|---|
| **დარღვევის სტატუსი:** | ☒ მიღებულია | ☐ უარყოფილია | ☐ სხვა (აღწერეთ) |

| **სანქცირების პროცედურა** | |
|---|---|
| სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული<br>**დარღვევის სიმძიმის შეფასება** | |
| ☒<br>**შეგნებული/წინასწარ განზრახული** | ☐<br>წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი |
| დარღვევის სახის დადგენის საფუძველი | |
| ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა | |
| დამრღვევის მოქმედების სიმძიმე: | |
| საშუალო სიმძიმის | |
| მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): | |
| მუშტი | |
| ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას: | |
| არა | |
| სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული: | |
| კი. აღწერილია ფაქტობრივ მოცემულობაში 2. | |
| მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): | |
| არა | |
| რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): | |

| |
|---|
| არა |
| დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე |
| |
| დაშავებულის დაცულობის ხარისხი |
| არა |
| დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; |
| არა |
| შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; |
| |
| დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. |
| |

| **დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით** |
|---|
| ზედა ზღვარი * თამაში. შუა ზღვარი 4**(ოთხი) კვირა/თამაში** ქვედა ზღვარი კვირა |

**შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:**

| | |
|---|---|
| დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; | დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია; |
| აღიარა დარღვევა სათამაშო მოედანზე. | სუფთა სადისციპლინო ისტორია |
| მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა; | ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; |
| გამოუცდელი | |
| დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო; | ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება |
| მოუბოდიშა ინციდენტის შემდეგ მოწინააღმდეგეს მოედანზე. | |

**დაკლებული კვირების რ-ბა: 2 (ორი) თამაში**

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**

| |
|---|
| მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; |
| არა |
| დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; |
| არა |
| ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; |
| არა |

**დამატებითი კვირების რ-ბა: არა**

# სანქცია

| | | |
|---|---|---|
| დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) | 4 (ოთხი) თამაში.<br>**2(ორი)** თამაში **დაუყოვნებლივი** დისკვალიფიკაცია.<br>**2(ორი)** თამაში **პირობითი** დისკვალიფიკაცია 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე. | ☐<br>წითელი ბარათი საკმარისია |
| დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი | 09/10/2023 | |
| დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები. | დაუყოვნებელი დისკვალიფიკაციის (2 თამაში) დამთავრების თარიღი უცნობია.<br>პირობითი დისკვალიფიკაციის (2 თამაში) ვადა 2023-2024 სათამაშო სეზონის დასრულებამდე. | |
| სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება | **პირობითი დისკვალიფიკაციის პერიოდში მოთამაშის მხრიდან ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციას ავტომატურად დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული თამაშები.** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 09/10/2023 |

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**